საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 69 „17" აპრილი 2013 წ.

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის, სს "საპარტნიორო ფონდსა" და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის 2012 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული „სს "საპარტნიორო ფონდის" საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლებით ვადაცემის თაობაზე" ხელშეკრულების, სს „საპარტნიორო ფონდის" 2013 წლის 16 აპრილის N504 წერილის, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" წესდების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სააქციო საზოგადოება „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" წესდება ახალი რედაქციით (თან ერთვის).

2. წესდებაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს გიორგი ყანაშვილს (პირადი N01009017404; დაბადებული 1984 წლის 12 ნოემბერს).

3. დაევალოს საზოგადოების გენერალურ დირექტორს სააქციო საზოგადოება „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" წესდების დადგენილი წესით რეგისტრაცია.

კახა კალაძე

დამტკიცებულია საქართველოს ენერგეტიკის
და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
17 აპრილი 2013 წლის
№69 ბრძანებით (გადაწყვეტილებით)

სააქციო საზოგადოება

„ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი“
(ესკო)

წ ე ს დ ე ბ ა

(ახალი რედაქცია)

თბილისი
2013

მუხლი 1.
ზოგადი დებულებები

1. სააქციო საზოგადოება „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (ესკო) (შემდეგში - კომპანია) შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ (ესკო) რეორგანიზაციის (გარდაქმნის – სამართლებრივი ფორმის ცვლილების) შედეგად და წარმოადგენს მის სამართალმემკვიდრეს (უფლებამონაცვლეს).
2. კომპანიის აქციათა 100% წარმოადგენს სს "საპარტნიორო ფონდის" საკუთრებას, რომელიც მთლიანად (კომპანიის აქციების 100%) მართვის უფლებით გადაცემული აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილებები კომპანიის მიმართ განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით, სს "საპარტნიორო ფონდსა" და საქართველოს ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის გაფორმებული სს "საპარტნიორო ფონდის საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე" 2012 წლის 31 აგვისტოს ხელშეკრულებით და ამ წესდებით.
3. კომპანია წარმოქმნილია სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2.
კომპანიის სამართლებრივი ფორმა

1. კომპანიის სამართლებრივი ფორმაა „სააქციო საზოგადოება“, შემოკლებით – სს.
2. იგი წარმოადგენს იურიდიულ პირს საქართველოს კანონმდებლობით.
3. სააქციო საზოგადოება „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (ესკო), როგორც იურიდიული პირის უფლებამოსილება ძალაში შედის სამეწარმეო რეესტრში მისი რეგისტრაციის დღიდან.
4. კომპანიის სრული დასახელებაა:

- ქართულად სრულად - სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"; ქართულად შემოკლებით - სს „ესკო";

- ინგლისურად სრულად - JSC "Electricity System Commercial Operator"; ინგლისურად შემოკლებით - JSC "ESCO".

5. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" სამართალმემკვიდრეს.

6. კომპანია საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს საკუთარი ქონებით.

7. კომპანიას საკუთრებაში აქვს განკერძოებული ქონება, რომელსაც განაგებს და მოიხმარს დანიშნულებისამებრ, თავისი მიზნების მისაღწევად. მას უფლება აქვს თავისი სახელით დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები; შეუძლია იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.

8. კომპანიას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები, როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის საბანკო დაწესებულებებში. მას აქვს ბეჭედი თავისი დასახელებით, საქმიანი წერილის ბლანკი, რეგისტრირებული საფირმო და სასაქონლო ნიშნები და იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები.

9. კომპანია პასუხიმგებელია კრედიტორების წინაშე მთელი თავისი ქონებით.

10. კომპანია არ არის პასუხიმგებელი აქციონერების ვალდებულებებზე.

11. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2.

მუხლი 3.
კომპანიის საქმიანობის საგანი

1 კომპანია ახორციელებს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონით, „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით" და წინამდებარე წესდებით განსაზღვრულ საქმიანობას.

2. კომპანიის ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

ა) საბალანსო ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვა (მათ შორის, იმპორტსა და ექსპორტზე საშუალო და გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმების გზით);

ბ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა;

გ) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საბითუმო ყიდვა–გაყიდვის შესახებ ერთიანი ბაზის, მათ შორის, აღრიცხვიანობის ერთიანი რეესტრის შექმნა და წარმოება;

დ) შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე ელექტროენერგიის გამყიდველების, მყიდველების, მათ მიერ გაყიდული და შესყიდული ელექტროენერგიის რაოდენობის განსაზღვრა და ანგარიშსწორებისათვის ინფორმაციის წარდგენა;

ე) მრიცხველების ინსპექცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) „ელექტრონერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონით, აგრეთვე მის საფუძველზე გამოცემული/მიღებული კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული საქმიანობის სხვა მიმართულებები.

3. კომპანიის ძირითადი საქმიანობის საგანი შესაძლებელია დროდადრო შეიცვალოს მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით.

4. საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ლიცენზიას ან ნებართვას, კომპანია ახორციელებს მხოლოდ სათანადო ლიცენზიის ან ნებართვის მიღების შემდეგ.

5. კომპანია უფლებამოსილია, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება კომპანიის მიზნებს, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 4.
დამფუძნებელი პარტნიორი. კაპიტალი.

1. კომპანიის პარტნიორი (აქციონერი) და აქციათა 100%-ის მესაკუთრეა სს „საპარტნიორო ფონდი".

2. კომპანიის (საწესდებო) კაპიტალი შეადგენს 87 309 (ოთხმოცდაშვიდი ათას სამასცხრა) ლარს.

3. კომპანიის კაპიტალი დაყოფილია 87 309 (ოთხმოცდაშვიდი ათას სამასცხრა) ცალ ჩვეულებრივ აქციად, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი.

4. კომპანიის კაპიტალი შეიძლება:

ა) გაიზარდოს აქციათა ნომინალური ღირებულების გაზრდის ან დამატებითი აქციების განთავსების გზით;

ბ) შემცირდეს აქციათა ნომინალური ღირებულების შემცირების ან რაოდენობის შემცირების გზით, მათ შორის, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული აქციათა გამოსყიდვის მეშვეობით.

5. პარტნიორს (აქციონერს) უფლება აქვს კომპანიის კაპიტალიდან (საწესდებო კაპიტალიდან) უკან გაიტანოს ის შენატანი, რომელიც მის მიერ იქნა შეტანილი კომპანიის კაპიტალში (საწესდებო კაპიტალში). შენატანის უკან გატანა ხორციელდება იმავე პროცედურებით, რომლებიც ამ შენატანის განხორციელებისას იქნა დაცული.

6. გადაწყვეტილებას კომპანიის კაპიტალის გაზრდის ან შემცირების შესახებ იღებს აქციონერთა საერთო კრება.

მუხლი 5. აქციონერის უფლება-მოვალეობანი

1. კომპანიის ერთადერთი აქციონერს წარმოადგენს სს "საპარტნიორო ფონდი".

2. აქციონერს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს (წარმომადგენლებს) უფლება აქვს:

ა) კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, მიიღოს ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შესახებ ან მოითხოვოს სამეურნეო მოქმედებების ან წლიური ბალანსის შემოწმება;

ბ) მიიღოს დივიდენდი, მის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული აქციების რაოდენობის შესაბამისად;

გ) უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით დაესწროს აქციონერთა საერთო კრებას, მონაწილეობა მიიღოს საერთო კრების მუშაობაში და კენჭისყრაში წინამდებარე წესდების შესაბამისად;

დ) განკარგოს საკუთარი აქციები კანონმდებლობით დადგენილი წესით, აგრეთვე, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, მოითხოვოს საწარმოსგან აქციათა გამოსყიდვა;

ე) კომპანიის ლიკვიდაციის შემთხვევაში, მიიღოს ქონების ის წილი, ან მისი ღირებულება, რომელიც დარჩება კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ, მისი წილის პროპორციულად და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად;

ვ) მოითხოვოს კომპანიის სახელით დადებული გარიგების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ, თუ აქციონერი (აქციონერთა ჯგუფი) ფლობს აქციათა არანაკლებ 5%-ს;

ზ) ამ წესდებით დადგენილი პროცედურების დაცვით, მოითხოვოს რიგგარეშე აქციონერთა საერთო კრების მოწვევა; აგრეთვე, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, შეიტანონ დამატებები აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში, თუ აქციონერი (აქციონერთა ჯგუფი) ფლობს აქციათა არანაკლებ 5%-ს;

თ) განახორციელოს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით და საქართველოს სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები.

3. აქციონერი, ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესაბამისი შენატანის შეტანა კომპანიის (საწესდებო) კაპიტალში; შენატანის შეტანის პირობები, შეზღუდვები და პროცედურები შესაძლებელია დამატებით განისაზღვროს აქციონერთა შეთანხმებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;

ბ) დაიცვას წინამდებარე წესდებითა და აქციონერთა შეთანხმებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული პირობები;

გ) კომპანიის აქციონერი მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებს აქციონერთა საერთო კრების მეშვეობით.

მუხლი 6. მოგების განაწილება

1. კომპანია უფლებამოსილია, კვარტალის, ნახევარი წლის, ცხრა თვის ან წლიური შედეგების მიხედვით, მიიღის გადაწყვეტილება მოგების დივიდენდის სახით განაწილების შესახებ.

2. გადაწყვეტილებას, მოგების დივიდენდის სახით განაწილების შესახებ, მათ შორის შუალედური განაწილების შესახებ, იღებს აქციონერთა საერთო კრება.

3. მოგების დივიდენდის სახით განაწილების სხვა საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.
4. დაუშვებელია კომპანიის კაპიტალის, როგორც მოგების განაწილება.

მუხლი 7. კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოები

1. კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:
ა) აქციონერთა საერთო კრება;
ბ) გენერალური დირექტორი.

მუხლი 8. აქციონერთა საერთო კრება

1. კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება (საერთო კრება).
2. საერთო კრება შეიძლება იყოს მორიგი ან რიგგარეშე.
3. მორიგი საერთო კრება მოიწვევა ყოველწლიურად ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს გასული ფინანსური წლის დასასრულიდან ექვსი თვის ვადაში. კრების მოწვევა უნდა განხორციელდეს კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად. მორიგ საერთო კრებაზე განიხილება წლიური შედეგები და კრების წინაშე მდგარი სხვა საკითხები.
4. რიგგარეშე საერთო კრება ტარდება გენერალური დირექტორის (მისი მოვალეობის შემსრულებლის) ან საზოგადოების აქციების სულ მცირე 5%-ის (ხუთი პროცენტის) მფლობელი აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე;
5. საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება საერთო კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ ამ პუნქტში აღნიშნულ

აქციათა რაოდენობას ფლობს ერთ აქციონერზე მეტი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა.

6. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე აქციონერები. ამ პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით მიღებული საერთო კრების გადაწყვეტილება ბათილია.

7. საერთო კრება მოიწვევა კომპანიის იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი (მისი მოვალეობის შემსრულებელი), ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში, კრების თავმჯდომარეს, თავისი შემადგენლობიდან, ხმათა უბრალო უმრავლესობით, ირჩევს საერთო კრება.

8. საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების პროცედურები განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ" კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, გარდა წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9. საერთო კრების ოქმის სანოტარო წესით დადასტურება საჭიროა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

10. საერთო კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილებების შესახებ ოქმს ადგენს კრების თავმჯდომარე ან სხდომის მდივანი, რომელსაც ხელს აწერს აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე და 5%-ზე მეტის მფლობელი დამსწრე აქციონერები.

11. საერთო კრება უფლებამოსილია:

ა) შეიტანოს ცვლილებები სააქციო საზოგადოების წესდებაში და კომპანიის სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებში;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ;

გ) აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან, განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ვადა;

დ) გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;

ე) დანიშნოს კომპანიის გენერალური დირექტორი;

ვ) გადაწყვიტოს გენერალური დირექტორის შრომის ანაზღაურების საკითხი;

ზ) დაამტკიცოს გენერალური დირექტორის ანგარიშები და წლიური შედეგები;

თ) მიიღოს ან უარყოს გენერალური დირექტორის (მისი მოვალეობის

შემსრულებლის) წინადადება მოგების გამოყენების შესახებ და მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების განაწილების (გამოყენების) თაობაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ი) მიიღოს გადაწყვეტილება გენერალური დირექტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;

კ) დაამტკიცოს წლიური ბიუჯეტი (ბიზნეს-გეგმა), როგორც საგეგმო ბალანსისა და მოგება-ზარალის გეგმა;

ლ) მიიღოს გადაწყვეტილება სესხების და კრედიტების აღების და მესამე პირთა მიერ აღებული სესხების და კრედიტების უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან კომპანიის ჩვეულებრივ (ძირითად) საქმიანობას და/ან რომელთა ღირებულება აღემატება კომპანიის აქტივების ღირებულების 50%-ს;

მ) მიიღოს გადაწყვეტილება ინვესტიციების დაბანდების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება კომპანიის აქტივების ღირებულების 50%-ს;

ნ) მიიღოს გადაწყვეტილება ფილიალების და შვილობილი საწარმოების შექმნისა და ლიკვიდაციის თაობაზე;

ო) მიიღოს გადაწყვეტილება წარმოების ახალი სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყებისა და მათი შეწყვეტის შესახებ, მათ შორის გადაწყვეტილება საწარმოს (როგორც კომერციული ასევე არაკომერციული) შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ;

პ) მიიღოს გადაწყვეტილება სხვა საწარმოთა 25%-ზე მეტი წილის შეძენისა და გასხვისების თაობაზე;

ჟ) მიიღოს გადაწყვეტილება უძრავი ნივთის ან მისი მსგავსი უფლების განკარგვის, შეძენის, გასხვისების, დატვირთვის ან იჯარით/ქირავნობით გაცემის ან აღების შესახებ;

რ) მიიღოს გადაწყვეტილება მოძრავი ნივთის და/ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთის განკარგვის, შეძენის, გასხვისების, დატვირთვის თაობაზე, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის;

ს) მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში) ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ტ) განსაზღვროს აქციათა ნომინალური ღირებულება;

უ) მიიღოს გადაწყვეტილება კომპანიის აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ;

ფ) მიიღოს გადაწყვეტილება კომპანიის კაპიტალის (საწესდებო კაპიტალის) გაზრდის შესახებ (ახალი/დამატებითი შენატანების გზით) ან კომპანიის კაპიტალის შემცირების შესახებ (კაპიტალიდან (საწესდებო კაპიტალიდან) ქონების ამოღების გზით);

ქ) მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი;

ღ) გასცეს და გააუქმოს პროკურა;

ყ) მიიღოს გადაწყვეტილება კომპანიის რეორგანიზაციის (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა და სხვა) შესახებ.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო დამსწრე ხმის მქონე პარტნიორთა 75%-ზე მეტის თანხმობა.

13. ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის წერილობითი გადაწყვეტილება (ბრძანება ან რეგისტრირებული წერილი) საერთო კრების უფლებამოსილების სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე საერთო კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება საერთო კრების გადაწყვეტილებად.

მუხლი 9. გენერალური დირექტორი

1. კომპანია ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ეკისრება გენერალურ დირექტორს, რომელსაც ნიშნავს აქციონერთა საერთო კრება.

2. გენერალური დირექტორი კომპანიას წარმოადგენს მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში, რომელიც არ შეიძლება შეიზღუდოს, გარდა კანონმდებლობით და წესდებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

3. გენერალური დირექტორი ვალდებულია კომპანიის საქმეები წარმართოს ამ წესდების, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების და მასთან დადებული სამსახურებრივი ხელშეკრულების შესაბამისად.

4. გენერალური დირექტორი ვალდებულია დაიცვას კომპანიის ინტერესები და მხოლოდ აქციონერთა საერთო კრების თანხმობით განახორციელოს ის საქმეები, რომელზეც, ამ წესდების შესაბამისად, საჭიროა აქციონერთა საერთო კრების თანხმობა.

5. კომპანიის გენერალური დირექტორი:

ა) ერთპიროვნულად ახორციელებს კომპანიის მართვას და ხელმძღვანელობას;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, ამტკიცებს კომპანიის საშტატო განრიგს;

გ) კომპანიის სახელით დებს შრომით ხელშეკრულებებს, წყვეტს დასაქმებულის წახალისების, დაწინაურებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხებს;

დ) ამ წესდებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს კომპანიის ქონებას;

ე) კონტროლს უწევს კომპანიის შინაგანაწესის დაცვასა და შესრულებას;

ვ) დებს გარიგებებს, გასცემს მინდობილობებს;

ზ) შეიმუშავებს და აქციონერთა საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას;

თ) ხსნის ანგარიშებს ბანკში, იღებს სესხებსა და კრედიტებს;

ი) გამოსცემს საორგანიზაციო-განმკარგულებელი ხასიათის ბრძანებებს;

კ) წყვეტს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს.

ლ) გენერალური დირექტორი აქციონერთა მორიგი საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს:

- კომპანიის საქმიანობის წლიურ ანგარიშს და ანგარიშს სამეურნეო მდგომარეობის შესახებ;
- კომპანიის საქმიანობის ბიზნეს-გეგმის, მათ შორის წლიური ბიუჯეტის პროექტს;
- კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას.

მუხლი 10.

გენერალური დირექტორის პასუხისმგებლობა

გენერალური დირექტორის პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე წესდებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11.
აქციათა რეესტრი

1. აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით. აქციონერს უნდა მიეცეს ამონაწერი კომპანიის აქციათა რეესტრიდან ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი.
2. აქციათა რეესტრის წარმოება და აქციათა გადაცემის წესები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12.
ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

1. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი ხორციელდება ამ სფეროს მარეგულირებელი შესაბამისი კანონმდებლობით.
2. კომპანიის წლიურ ანგარიშში ასახული მონაცემების სიზუსტე დამოწმებული უნდა იქნეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.
3. სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 13.
წლიური ანგარიში

1. კომპანიის წლიურ ანგარიშს ადგენს გენერალური დირექტორი, რომელიც დასამტკიცებლად ეგზავნება აქციონერთა საერთო კრებას.

2. აქციონერთა საერთო კრება ამტკიცებს წლიურ ანგარიშს და იღებს გადაწყვეტილებას შედეგების (მოგება/ზარალის) განაწილების შესახებ.

მუხლი 14.
კონფიდენციალობა და გამოქვეყნება

1. აქციონერის მიერ კომპანიისთვის ან კომპანიის მიერ აქციონერისათვის მიწოდებული ინფორმაცია, დოკუმენტაცია და სხვა ცნობები, (თუკი ეს კანონმდებლობით არ ექვემდებარე გამოქვეყნებას), რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ თუ სხვა ფასეულობას, მიუხედავად იმისა, წერილობითი ფორმისაა თუ არა ისინი, ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს, გარდა კომპანიაში ან კომპანიის აქციონერის საწარმოებში მომუშავე პირებისა, თუ ეს აუცილებელია ამ პირების მიერ მათი სამსახურებრივი საქმიანობის შესასრულებლად.
2. კომპანია აქვეყნებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ინფორმაციას და ფაქტებს (საჯარო ინფორმაცია).

მუხლი 15.
ფილიალები და წარმომადგენლობები

1. კომპანიას შეუძლია დაარსოს ფილიალები, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რომლებიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.
2. გადაწყვეტილებას, კომპანიის ფილიალების შექმნის შესახებ, იღებს აქციონერთა საერთო კრება.

მუხლი 16.
კომპანიის საქმიანობის კონტროლი

1. კომპანიის საქმიანობას აკონტროლებს აქციონერთა საერთო კრება.

2. კომპანიის საფინანსო საქმიანობის კონტროლისათვის, საჭიროების შემთხვევაში, აქციონერთა საერთო კრების მოთხოვნით, კომპანია იწვევს დამოუკიდებელ აუდიტორს.

3. აქციონერს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, კომპანიის საქმიანობის შემოწმების მიზნით, უფლება აქვს მოიწვიოს აუდიტური ფირმა ან აუდიტორი, რომელიც კანონმდებლობით უფლებამოსილია, საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების თანახმად, შეამოწმოს კომპანიის საბუღალტრო საქმე და ანგარიშიანობა ზოგადად.

მუხლი 17.
რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. კომპანიის არსებობის შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს ორი გზით:

ა) რეორგანიზაციით (შერწყმა, შეერთება, გაყოფა);

ბ) ლიკვიდაციით.

2. კომპანიის ლიკვიდაცია ხდება აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, ასევე კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

3. კომპანიის ლიკვიდაცია ასევე შესაძლებელია მოხდეს მისი რეორგანიზაციის (გარდაქმნის, შერწყმის, გაყოფის) გზით.

4. კომპანიის რეორგანიზაციის შემთხვევაში, კომპანიის ყველა უფლება და ვალდებულება გადაეცემა მის სამართალმემკვიდრეს.

5. თუ კომპანია გადახდისუუნარო გახდება, გენერალურმა დირექტორმა, ამ ფაქტის დადგენის დღიდან 3 კვირის ვადაში, უნდა განაცხადოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ.

6. ლიკვიდაციას აწარმოებს კომპანიის გენერალური დირექტორი ან აქციონერთა საერთო კრების მიერ განსაზღვრული პირი.

7. კომპანიის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის პროცესის მიმართ გამოიყენება კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები.

8. კომპანიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 18
დავების გადაწყვეტა

1. ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წესდებიდან ან მასთან დაკავშირებით, გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში პარტნიორს (აქციონერს) და/ან კომპანიის უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს.

მუხლი 19.
დასკვნითი დებულებები

1. თუ ამ წესდების რომელიმე განსაზღვრება გახდება ბათილი, ეს არ ახდენს გავლენას მთლიანად წესდების ნამდვილობაზე. ბათილი განსაზღვრების ნაცვლად, მოქმედებს წესი, რომელიც ძალაშია და რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა დასახული მიზანი. კანონისმიერი განსაზღვრებები გამოიყენება მხოლოდ ამის შემდეგ. იგივე წესი მოქმედებს, თუ წესდებას აქვს ხარვეზი.
2. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება აქციონერთა საერთო კრების მიერ.
3. წესდების ყველა ცვლილება და დამატება ავტომატურად ხდება მისი განუყოფელი ნაწილი.
4. კომპანიის მოქმედი წესდება ინახება თავად კომპანიაში.
5. წესდება შედგენილია 4 ეგზემპლარად, ყველა ეგზემპლარს აქვს ერთნაირი იურიდიული ძალა.

წესდებაზე ხელს აწერს აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი - აქციათა 100%-ის მფლობელი აქციონერის უფლებამოსილი წარმომადგენელი:

აქციონერის სახელით